ქართული ენის გრამატიკა

IV კლასი

დამხმარე სახელმძღვანელო

გულნარა ჟღენტი
დემირა ელიაშვილი
ნინო ზამბახიძე



პირდაპირი ნათქვამი

თუ ნაწერში გამეორებულია სხვისი ნათქვამი პირდაპირ, ეს სიტყვები ბრჭყალებში უნდა ჩაისვას.

მაგ.: 1. შოთა რუსთაველს უთქვამს: „ლეკვი ლომისა სწორია,
ძუ იყოს თუნდაც ხვადია“.

2. გავიმეოროთ ილიას სიტყვები: „კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი, წესად დარგე:
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო
- აბა მე დღეს ვის რა ვარგე“.

პირველ წინადადებაში შოთა რუსთაველის, ხოლო მეორე წინადადებაში ილია ჭავჭავაძის პირდაპირი ნათქვამი ჩასმულია ბრჭყალებში.

ზმნა მოქმედების ან მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვაა
ზმნის კითხვებია: რას შვრება? რა ჰქნა? რას იზამს?

ბავშვები თამაშობენ. თამაშობენ არის ზმნა და აღნიშნავს მოქმედებას. (რას შვრება?)

მოსწავლე მაგიდასთან ზის. ზის არის ზმნა და აღნიშნავს მდგომარეობას.

მასწავლებელმა გაკვეთილი ახსნა. ახსნა არის ზმნა და აღნიშნავს მოქმედებას. (რა ჰქნა?)

საათი კედელზე კიდია. კიდია არის ზმნა და აღნიშნავს მდგომარეობას.

ბიჭი გაკვეთილს ისწავლის. ისწავლის არის ზმნა და აღნიშნავს მოქმედებას. (რას იზამს?)

ჩემი სახლის წინ ერთი ხე დგას. დგას არის ზმნა და აღნიშნავს მდგომარეობას

დაიმახსოვრეთ:

სწორია: კრეფს, ზელს, სრესს, იჭერს, ჩხვლეტს, კვნეტს, კბეჩს, კრეჭს, წყვეტს, წმენდს, დღვებს, ხვრეპს, გლეჯს, ცქვეტს, ტეხს, კვეთს, ყეფს, გრეხს, ხვეწს, იჭერს.

არასწორია: კრიფავს, ზილავს, სრისავს, იჭირავს, ჩხვლიტავს, კვნიტავს, კბიჩავს, კრიჭავს, წყვიტავს, წმინდავს, დღვიბავს, ხვრიპავს, გლიჯავს, ცქვიტავს, კვეთავს, ყეფავს, გრიხავს, ხვეწავს, იჭირავს.

აირჩიეთ ზმნის მართებული ფორმა

1. ბებო ატამს (კრეფს / კრიფავს) და ლამაზ კალათში აწყობს.
2. ხვალ ხაჭაპურის ცომს (მოვზელ / მოვზილავ) და კარაქსაც (ავდღვებ / ავდღვიბავ).
3. ჯერ ხელში (დასრესდა / დასრისავდა) ყვითელ ფოთლებს, მერე კი დაყნოსავდა.
4. ჩემი ძაღლი მურია გაფრენილ ჩიტს (იჭერს / იჭირავს)
5. ნეტავი ამ პატარა ზღარბუნიას ეკლები არ (ჩხვლეტს / ხვლიტავს)?

შინაარსის მიხედვით წინადადება შეიძლება იყოს:
თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილისა და კითხვით-ძახილის.

თხრობითია წინადადება, რომელიც გადმოგვცემს, მოგვითხრობს რამეს. წინადადების ბოლოს წერტილი დაისმის. მაგ.: გიორგის ძალიან უყვარს კომპიუტერული თამაშები.

კითხვითია წინადადება, რომელშიც კითხვაა გადმოცემული. კითხვა ინტონაციით გამოიხატება, წინადადების ბოლოს კი კითხვის ნიშანი დაისმის. მაგ.: ლანა, ხვალ სკოლაში მიდიხარ?

ბრძანებითია წინადადება, რომელიც მოითხოვს მთქმელის ნება-სურვილის შესრულებას. ბრძანებითი წინადადება შეიძლება გამოხატავდეს: ბრძანებას, მოწოდებას, თხოვნას, გაფრთხილებას, აკრძალვას . . . და წინადადების ბოლოს დაისმის ძახილის ნიშანი. მაგ.: ახალავე აქ მოდი! მეგობრებო, წინ, წინ, გასწით! გემუდარები, სახლში დაბრუნდი! იცოდე, შენთან აღარ ვითამაშებ! ნუ დაანაგვიანებ!

ძახილის წინადადება გამოხატავს განცვიფრებას, აღტაცებას, ნატვრას . . . წინადადების ბოლოს დაისმის ძახილის ნიშნი. მაგ.: მართლა რა ლამაზია გაზაფხული! თოვლი მოსულა! ნეტავი ჩიტად მაქცია!

კითხვით-ძახილის წინადადბაში კითხვასთან ერთად გადმოიცემა ძლიერი გრძნობა, კითხვაამ მაგრამ პასუხს არ მოითხოვს და წინადადების ბოლოს ორი ნიშანი დაისმის: კითხვითი ნიშნი და ძახილის ნიშანი. მაგ.: კაცმა კაცი როგორ უნდა მოკლას?!

სახელთა ბრუნვა

ერთი და იგივე სახელი წინადადებაში შეიძლება შვიდი სხვადასხვა ფორმით შეგვხვდეს. ფორმის მცვლელი სუფიქსებია: -ი, -მა, -ს, -ის, -ით, -ად, -ო __ ბრუნვის ნიშნები.

სახელის ცვლას ბრუნვათა მიხედვით ბრუნება ეწოდება.

სახელობითი - ი	ქალ-ი	კაც-ი	ლამაზ-ი
მოთხრობითი - მა	ქალ-მა	კაც-მა	ლამაზ-მა
მიცემითი - ს	ქალ-ს	კაც-ს	ლამაზ-ს
ნათესაობითი - ის	ქალ-ის	კაც-ის	ლამაზ-ის
მოქმედებითი - ით	ქალ-ით	კაც-ით	ლამაზ-ით
ვითარებითი - ად	ქალ-ად	კაც-ად	ლამაზ-ად
წოდებითი - ო	ქალ-ო	კაც-ო	ლამაზ-ო

ხმოვანზე დამთავრებულ ყველა სახელს მოთხრობით ბრუნვაში აქვს ნიშანი -მ (-მა-ს ნაცვლად) და ვითარებითში-დ (ად-ს ნაცვლად). ო ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს ნათესაობითში -ს..

სახელობითი	ბავშვ-ი	თხა	მდინარე	რტო
მოთხრობითი	ბავშვ-მა	თხა-მ	მდინარე-მ	რტო-მ
მიცემითი	ბავშვ-ს	თხა-ს	მდინარე-ს	რტო-ს
ნათესაობითი	ბავშვ-ის	თხ-ის	მდინარ-ის	რტო-ს(ი)
მოქმედებითი	ბავშვ-ით	თხ-ით	მდინარ-ით	რტო-თ(ი)
ვითარებითი	ბავშვ-ად	თხა-დ	მდინარე-დ	რტო-დ
წოდებითი	ბავშვ-ო	თხა-ო	მდინარე -ვ	რტო-ო

სახელის ფუძე

რომ გავიგოთ სახელის ფუძე, ამისათვის სახელი ჩავსვათ მოთხრობით ბრუნვაში (კაც-მა), ჩამოვაშოროთ ბრუნვის ნიშანი (კაც-~~მა~~) და რაც დარჩება (კაც), ის იქნება ფუძე. კატა - კატა-მ - კატა - მ - ~~კატა~~ (არის ფუძე).

კაც-მა ფუძე არის კაც, ხოლო კატა-მ ფუძე არის კატა, პირველ მაგალითში ფუძე მთავრდება თანხმოვნით, მეორე მაგალითში __ ხმოვნით, ამიტომ ფუძის დაბოლოების მიხედვით სახელები არის ფუძეთანხმოვნიანი და ფუძეხმოვნიანი.

ფუძეხმოვნიანი სახელების ბრუნებისას დავიმახსოვროთ შემდეგი:
თუ ფუძეხმოვნიანი სახელი არის ერთმარცვლიანი, მაშინ წოდებით ბრუნვაში მოუდის ნიშანი - ო.
მაგ.: მზე-ო, დღე-ო, რტო-ო, გზა-ო, მთა-ო,

ხოლო თუ ფუძეხმოვნიანი სახელი არის ორ ან მეტმარცვლიანი,მაშინ წოდებით ბრუნვაში მოუდის ნიშანი - ვ.
მაგ.: მდინარე - ვ, მეცხვარე -ვ, მენავე- ვ, პატარა-ვ, ანკარა-ვ, დედა-ვ,

სახელის რიცხვი

სახელს ორი რიხვი აქვს **მხოლობითი და მრავლობითი.**

ერთი საგნის აღმნიშვნელი სიტყვა მხოლობითი რიხვის ფორმაა.

თუ სიტყვა ერთზე მეტი რაოდენობის საგანს აღნიშნავს, ის მრავლობითი რიხვის ფორმაა.

სახელობითი	**ბავშვ-ი**	**ბავშვ-ებ-ი**	**გზა**	**გზ-ებ-ი**
მოთხრობითი	**ბავშვ-მა**	**ბავშვ-ებ-მა**	**გზა-მ**	**გზ-ებ-მა**
მიცემითი	**ბავშვ-ს**	**ბავშვ-ებ-ს**	**გზა-ს**	**გზ-ებ-ს**
ნათესაობითი	**ბავშვ-ის**	**ბავშვ-ებ-ის**	**გზ-ის**	**გზ-ებ-ის**
მოქმედებითი	**ბავშვ-ით**	**ბავშვ-ებ-ით**	**გზ-ით**	**გზ-ებ-ით**
ვითარებითი	**ბავშვ-ად**	**ბავშვ-ებ-ად**	**გზა-დ**	**გზ-ებ-ად**
წოდებითი	**ბავშვ-ო**	**ბავშვ-ებ-ო**	**გზა-ო**	**გზ-ებ-ო**

მრავლობით რიხვს აწარმოებს -ებ სუფიქსი (ბოლოსართი). ასეთი მრავლობითის ფორმას ებ-იანი მრავლობითი ეწოდება.

მრავლობით რიცხვს ასევე აწარმოებს ფუძეზე -ნ და თ(ა) სუფიქსები.

სახელობითი	მთა-ნ-ი	კაც-ნ-ი
მოთხრობითი	მთა - თ(ა)	კაც-თ(ა)
მიცემითი	მთა - თ(ა)	კაც-თ(ა)
ნათესაობითი	მთა - თ(ა)	კაც-თ(ა)
მოქმედებითი	_____	_____
ვითარებითი	_____	_____
წოდებითი	მთა - ნ-ო	კაც-ნ-ო

მრავლობითის ასეთი ფორმა ნარ-თანიანი მრავლობითია.
ნარ-თანიან მრავლობითს არა აქვს მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვა.
სამ ბრუნვაში: მოთხრობითში, მიცემითსა და ნათესაობითში სახელი ერთი და იმავე ფორმითაა წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში სიტყვის ბრუნვის ფორმის გარჩევა ხდება ებ-იანი მრავლობითის ფორმის ჩანაცვლების მეშვეობით.

ხიბლავდა მთათა (მთებ-ის) სილამაზე ___ ნათესაობითი
ვარდთ (ვარდებ-ს) შემორჩათ სურნელი __ მიცემითი.
ვაზირთა (ვაზირებ-მა) ჰკადრეს: მეფეო ___ მოთხრობითი.

სახელის კუმშვა

ფუძის შუიდან ხმოვნის ამოვარდნას კუმშვა ჰქვია. კუმშვა ახასიათებს ფუძეთანხმოვნიან სახელებს. კუმშვა ხდება სამ ბრუნვაში: ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში. მაგ.:

მსხალი _____ მსხლ-ის - მსხლ-ით - მსხლ-ად,
ამ სიტყვაში ფუძე არის მსხალ. ფუძის შუიდან ამოვარდა ა ხმოვანი.

მტერი _____ მტრ-ის - მტრ-ით - მტრ-ად,
ამ სიტყვაში ფუძე არის მტერ. ფუძის შუიდან ამოვარდა ე ხმოვანი.

გოდორი _____ გოდრ-ის - გოდრ-ით - გოდრ-ად,
ამ სიტყვაში ფუძე არის გოდორ. ფუძის შუიდან ამოვარდა ო ხმოვანი.

მაწონი _____ მაწვნ-ის - მაწვნ-ით - მაწვნ-ად,
ამ სიტყვაში ფუძე არის მაწონ. ამ შემთხვევაში ფუძის შუაში ო ხმოვანი დასუსტდა და ვ თანხმოვნად გადაიქა.

ე.ი. სახელის კუმშვისას ფუძის შუიდან ამოვარდება სამი ხმოვანი: ა, ე, ო. ზოგჯერ ფუძისეული ო ხმოვანი სუსტდება და ვ თანხმოვნად იქცევა.

დაიმახსოვრეთ: სახელი ლიმონი უკუმშველია. სწორია ლიმონის და არა ლიმნის.

სახელის კვეცა

ბრუნებისას ფუძის ბოლო ხმოვნის ჩამოშორებას კვეცა ჰქვია. კვეცა ახასიათებს ფუძეხმოვნიან სახელებს.

კვეცა ხდება ორ ბრუნვაში: ნათესაობითსა და მოქმედებითში.

კატა _____ კატ-ის - კატ-ით.

მდინარე ____ მდინარ-ის - მდინარ-ით.

ა და ე ხმოვნებზე დამთავრებული სახელები კვეადია, ხოლო უ და ო ხმოვნებზე დამთავრებული სახელები კი უკვეცელი.

სახელობითი	გზა	მზე	რუ	რტო
მოთხრობითი	გზა-მ	მზე-მ	რუ-მ	რტო-მ
მიცემითი	გზა-ს	მზე-ს	რუ-ს	რტო-ს
ნათესაობითი	გზ-ის	მზ-ის	რუ-ს	რტო-ს
მოქმედებითი	გზ-ით	მზ-ით	რუ-თ(ი)	რტო-თ(ი)
ვითარებითი	გზა-დ	მზე-დ	რუ-დ	რტო-დ
წოდებითი	გზა-ო	მზე-ო	რუ-ო	რტო-ო

ფუძეკვეად სახელებში ფუძე შეკვეცილია ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში (გზ-ის, მზ-ის, გზ-ით, მზ-ით) უკვეცელ სახელებში ფუძე ყველა ბრუნვაში უცვლელია.

უკვეცელ სახელებს ბრუნებისას რამდენიმე თავისებურება ახასიათებს:

1. ნათესაობით ბრუნვაში, მიცემითის მსგავსად, ბრუნვის ნიშანია - ს.
   მიცემითი - წყარო - ს
   ნათესაობით - წყარო - ს

   ასეთ შემთხვევაში, რომ გავიგოთ სახელი რომელ ბრუნვაშია, ამისათვის, სახელი (წყარო) გადავიყვანოთ მრავლობით რიცხვში.
   წყაროს მივადექით __ წყარო-ებ-ს მივადექით. ____ მიცემითი ბრუნვა.
   წყაროს ახლოს ვისხედით __ წყარო-ებ-ის ახლოს ვისხედით ___ ნათესაობითი ბრუნვა.

1. მოქმედებით ბრუნვაში ბრუნვის ნიშანია - თი: წყარო-თი

წყარო __ წყარო-მ __ წყარო -ს __ წყარო-ს __წყარო-თ(ი) __წყარო-დ __წყარო-ვ.

რამდენიმე ერთნაირი ბგერის თავმოყრა არსებით სახელებში

1. თუ სახელის ფუძე -მ- ზე ბოლოვდება, მოთხრობით ბრუნვაში ორი მ მოიყრის თავს:
   ირემ-ი ___ ირემმა,
   გურამ-ი __ გურამმა,
   ლომ-ი __ ლომმა.
1. თუ სახელის ფუძე -ს - ზე ბოლოვდება, მიცემით ბრუნვაში ორი ს მოიყრის თავს:
   თბილის-ი ___ თბილისს,
   ქუთაის-ი ___ ქუთაისს,
   ივლის-ი ___ ივლისს.
1. თუ ხმოვანფუძიანი კვეადი სახელი ია - ზე ბოლოვდება, მხოლობითი რიხვის ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში ორი -ი მოიყრის თავს:
   სამტრედია ___ სამტრედიის __ სამტრედიით,
   აზია ___აზიის ___ აზიით.
1. თუ სახელის ფუძე -ე -ზე ბოლოვდება, მრავლობითი რიხვის შვიდივე ბრუნვაში ორი -ე მოიყრის თავს.
   ხეები, ხეებმა, ხეებს, ხეების, ხეებით, ხეებად, ხეებო.

ნაცვალსახელი

ნაცვალსახელი ჰქვია მეტყველების ნაწილს, რომელი იხმარება სახელების ნავლად.
ნავალსახელთა ჯგუფში გამოყოფა პირის ნავალსახელები: მე, შენ, ის, ჩვენ, თქვენ, ისინი.

	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიხვი
I- პირის ნავალსახელი:	მე (ვწერ)	ჩვენ (ვწერთ)
II- პირის ნავალსახელი:	შენ (წერ)	თქვენ (წერთ)
III- პირის ნავალსახელი:	ის (წერს)	ისინი (წერენ)

ნაცვალსახელთა ჯგუფში ასევე გამოიყოფა ჩვენებითი, კუთვნილებითი ნაცვალსახელები:
ჩვენებითი ნავალსახელებია: ეს, ეგ, ის/იგი. (მაგ.: ეს წიგნი, ეგ რვეული, ის ფანქარი).

კუთვნილებითი ნაცვალსახელებია:

მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიხვი
ჩემი, შენი, მისი, ამისი, იმისი	ჩვენი, თქვენი, მათი, ამათი, იმათი, თავისი
(მაგ.: ჩემი წიგნი, შენი წიგნი, მისი წიგნი),	(ჩვენი წიგნი, თქვენი წიგნი, მათი წიგნი).

კომპოზიტები (რთული სიტყვები)

კომპოზიტები ორი ან მეტი სიტყვის შეერთებით ახალი სიტყვის მიღებას გულისხმობს. შედგენილობის მიხედვით გვაქვს:

1. **კომპოზიტები, რომლებიც მიღებულია ფუძის გაორკეცებით: თავთავი, დროდადრო, ხანდახან, ორ-ორი . . .**
2. **კომპოზიტები, რომლებიც მიღებულია ორი ან მეტი სხვადასხვა ფუძის ან სიტყვის შეერთებით: დედ-მამა, და-ძმა, ხელმოკლე, ცისკარი . . .**

ზოგი კომპოზიტი იწერება დეფისით, ზოგი უდეფისოდ.

დეფისით იწერება ისეთი კომპოზიტები (რთული სიტყვები), რომელთა შორის გამოტოვებულია და მაკავშირებელი სიტყვა: სახლ-კარი (სახლი და კარი); წვერ-ულვაში (წვერი და ულვაში).

უდეფისოდ იწერება ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები, რომელთა ნაწილები მნიშვნელობას მოკლებულია, ან სრულმნიშვნელოვანია, მაგრამ სიტყვას სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. (ბაჯბაჯი, ქოხმქხი, თავთავი, წამწამი).

ცალ-ცალკე იწერება ორმარცვლიანი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები (ბოლოს და ბოლოს, ისევ და ისევ), გამონაკლისია: მაინცდამაინც და შიგადაშიგ, რომლები ერთად იწერება.

ზმნისწინი

ზმნისწინი არის ზმნის თავსართი. ზმნისწინებია: მი, მო, ა, და, ჩა, შე, გა, წა, მიმო, ამო, ჩამო, შემო, გამო, გადა, გადმო, წამო.

ზოგიერთ ზმნასთან ქართულში ძველი ზმნისწინები იხმარება, ესენია: აღ, განგარდა, შთა, წარ.

ზმნისწინი ზოგჯერ ზმნას მიმართულებას უვლის: წავიდა ___მოვიდა; ავიდა ___ ჩავიდა.

დაუშვებელია ზმნისწინის გახლეჩა და შუაში სხვა ბგერის ჩართვა:
წარუდგენს და არა წაურდგნს; აღვნიშნე და არა ავღნიშნე.

თუ ძველი სახის ზმნისწინი ერთვის ზმნას, უზმნისწინო ფორმაში ისინი მთლიანად უნდა ჩამოვაცილოთ:

განვითარება ___ ავითარებს და არა ანვითარებს;
განსახიერება ____ ასახიერებს და არა ანსახიერებს
განცვიფრება _____ აცვიფრებს და არა ანცვიფრებს

გვაქვს როგორც ზმნისწინიანი, ასევე უზმნისწინო ფორმები: ერეკება (უზმნისწინოა), მიერეკება (ზმნისწინიანი - მი ზმნისწინი).

ზმნიზედა

ზმნიზედა დაერთვის ზმნას და მიუთითებს, თუ სად, როდის, როგორ, რატომ ან რისთვის ხდება მოქმედება.ამის მიხედვით განარჩევენ:

ადგილის ზმნიზედას (კითხვა:სად? სახლში, ეზოში, სკოლაში).

დროის ზმნიზედას (კითხვა: როდის? გუშინ, ხუთ საათზე, შარშან, მომავალში).

ვითარების ზმნიზედას (კითხვა: როგორ? კარგად, ცუდად, მშვენივრად).

მიზეზის ზმნიზედას (კითხვა: რატომ? __ რატომ ვერ წახვედი სკოლაში? __ იმიტომ, რომავად ვიყავი ___მიუთითებს მიზეზზე)).

მიზნის ზმნიზეედას (კითხვა: რისთვის? ___ რისთვის მიდიხარ სკოლაში? __ იმსთვის, რომ კარგად ვისწავლო ___ მიუთითებს მიზანზე).

ზმნა-შემასმენლის შეწყობა შესაბამის რიცხვში

თუ სახელი სულიერია და მრავლობით რიხვშია, ზმნა - შემასმენელი მრავლობით რიხვში შეეწყობა: ბავშვები მხიარულობდნენ, ჩიტები გალობდნენ.

თუ სახელი უსულო საგანია, მაგრამ გასულიერებული, ზმნა-შემასმენელი მრავლობით რიხვში შეეწყობა: ვერხვის ფოთლებმა თრთოლა დაიწყეს, ხეები ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ.

თუ სახელი უსულო საგანია, ზმნა-შემასმენელი მხოლობით რიხვში შეეწყობა: ფანტელები დნებოდა, სხივები ბრწყინავდა.

ორცნებიან კომპოზიტს ზმნა-შემასმენელი მხოლობით რიცხვში შეეწყობა: და-ძმა ტიროდა; დედ-მამას ნატვრა აუსრულდა.

თუ სახელს ახლავს სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვა, მას ზმნა-შემასმენელი მხოლობით რიცხვში შეეწყობა: სამივე მეგობარი მოვიდა. ზოგი ტიროდა, ზოგიც იცინოდა.

ფრაზეოლოგიზმები (ხატოვანი გამოთქმები)

1. ქერის ორმოში ჩავარდნა ___ ბედს ეწია
2. ქრისტეს პერანგი გახდა ___ სადავო საქმე შეიქმნა
3. წარბის შეყრა ___ განრისხება
4. წყალს ცრის ___ ამაოდ ირჯება
5. ხელების დაბანა ___ პასუხისმგებლობის არიდება
6. ბუზსაც არ ააფრენს ___ არაფერს აკეთებს
7. არც ღვინოა, არც წყალი ___ მოკლებულია ყოველგვარ ღირსებას
8. ბანზე სიტყვის აგდება ___ ნათქვამზე პასუხის გაუცემლობა
9. თვალი უბრმავდება ___ შურს
10. თავის აგდება ___ თავის გამასხარავება
11. გულის მოგება ___ თავის შეყვარება
12. გული მიეცა ___ გათამამდა
13. პირში წყლის ჩაყენება ___ გაჩუმება
14. გულში მუშტის ცემა ___ სინანული
15. ეშმაკს არ სძინავს ___ სიფრთხილეა საჭირო